დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 15 ოქტომბრის N11 სხდომასა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 16 ოქტომბრის N5 სხდომაზე, ამავე საბჭოებით ძალადაკარგულად გამოცხადდა აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 დეკემბრის N69სხდომასა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის N12 სხდომაზე დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის კოდექსი"

შევიდა ცვლილებები და დამატებები წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 30 მაისის N2 სხდომის და 2023 წლის -27 აპრილის N 1 სხდომის გადაწყვეტილებებით.

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

პრეამბულა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში უნივერსიტეტი) წარმოადგენს სტუდენტთა და პროფესორთა კავშირს - მრავალფუნქციურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას, რომელშიც სტუდენტების, პროფესორების, მასწავლებლებისა და მკვლევრების თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცე.

სტუდენტის ეთიკის კოდექსის დანიშნულებაა, დაადგინოს სტანდარტები და პროცედურები, რომლებიც აუცილებელია სწავლისა და კვლევისათვის საუკეთესო გარემოს შესანარჩუნებლად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. საუნივერსიტეტო გარემოში, რომელიც ეფუძნება აზრისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპს, აუცილებელია მაღალი აკადემიური სტანდარტების დაცვა და თითოეული ინდივიდის უფლებების, ღირსებისა და უსაფრთხოების პატივისცემა. სტუდენტის ეთიკის კოდექსი წარმოადგენს

სტუდენტის სახელმძღვანელოს საუნივერსიტეტო გარემოში ქცევისათვის, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვა წევრების უფლებების, უნივერსიტეტის ქონებისა და საერთო რესურსები დაცულობას, ასევე, აკადემიური საქმიანობისათვის საუკეთესო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას.

მუხლი 1. სამართლებრივი საფუძვლები

ამ კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება და სხვა ნორმატიული დოკუმენეტები.

მუხლი 2. სტუდენტთა ეთიკის წესები

ეს კოდექსი ადგენს ქცევის ზოგად და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ ეთიკის ნორმებს.

მუხლი 3. ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო

3.1 ეს კოდექსი ვრცელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებზე, მსმენელებზე და აწესრიგებს მათი ქცევის წესებს უნივერსიტეტში სწავლის მთელი პერიოდისათვის;

3.2 ამ კოდექსის მიზნებისათვის სტუდენტად მიიჩნევა:

ა) პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, რეზიდენტურის, დოქტორანტურის საფეხურის, ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად; (ცვლილება 27.04.2023)

ბ) მსმენელისა და თავისუფალი მსმენელის სტატუსის მქონე პირი;

გ) პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტის რომელიმე ცენტრში (ამ მუხლის "ა" და "ბ" პუნქტებით გათვალისწინებული პირების გარდა), სადაც სწავლის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია შესაბამისი სერთიფიკატის გაცემა;

დ) პირი, რომელიც უნივერსიტეტის რომელიმე ფაკულტეტზე და/ან ცენტრში გადის ტრენინგს.

3.3 ეს კოდექსი მოქმედებს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. ასევე მოქმედებს მის ფარგლებს გარეთ, თუ გადაცდომა განხორციელებულია უნივერსიტეტის ან სტუდენტების მიერ ორგანიზებულ აკადემიურ, გასართობ, სადღესასწაულო ან სხვა ღონისძიებაზე და/ან ინტერნეტ სივრცეში არსებულ საუნივერსიტეტო პლატფორმებზე.(ცვლილება 27.04.2023)

მუხლი 4. სტუდენტის ეთიკის კოდექსის პრინციპები

4.1 უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტებით მისთვის მინიჭებული უფლებებით;

4.2 სტუდენტი ვალდებულია გაიზიაროს უნივერსიტეტის წესდებით და სტუდენტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დებულებები, ღირებულებები, პრინციპებიდა იცავს მათ;

4.3 სტუდენტი აღიარებს უნივერსიტეტის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება;

4.4 სტუდენტი დამოუკიდებელი, თავისუფალი პიროვნებაა. მას აქვს უნარი, თავად შეაფასოს საკუთარი ქცევა და განსაზღვროს მისი შედეგები;

4.5 სტუდენტის მიმართ დისციპლინური ზომები გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილ ზოგად და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკური წესების დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 5. სტუდენტის ვალდებულებები

5.1. სტუდენტი ვალდებულია კეთილგონიერებითა და სიფრთხილით მოეკიდოს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებას, მის პირად ქონებრივ და/ან არაქონებრივ უფლებებს;

5.2. აკრძალულია, სტუდენტის მიერ სხვა პირის დისკრიმინაცია და/ან არატოლერანტული დამოკიდებულება - რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენდერის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე; სტუდენტი პატივისცემით ეპყრობა სხვა პირებს, განურჩევლად მათი გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციისა;(ცვლილება 27.04.2023)

5.3. სტუდენტი პატივს სცემს უნივერსიტეტის სახელს, სიმბოლიკას და საქმიან რეპუტაციას;

5.4. სტუდენტი ვალდებულია განუხრელად დაიცვას წინამდებარე ეთიკის კოდექსით განსაზღვრული წესები და დაემორჩილოს დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებას.

მუხლი 6. ეთიკის ზოგადი წესები

6.1 სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) აკადემიური პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე დაგვიანება, ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური, ელექტროენერგიის გათიშვა და სხვა);

,,ბ) ლექციის/ სემინარის/საჯარო შეხვედრის/ სხდომის ჩაშლა ან სასწავლო ლექცია სემინარებზე უცხო პირის შეყვანა თანხმობის გარეშე;(ცვლილება 30.05.2016.)

გ) თამბაქოს მოხმარება საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

დ) ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება ან/და გამოყენება, გარდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული შემთხვევებისა;

ე) აზარტული თამაშები (მათ შორის ფულადი ან მატერიალური მოგების მიზნის გარეშე);(ცვლილება 27.04.2023)

ვ) ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე და სხვა ინვენტარზე წარწერების გაკეთება; კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება და/ან არამართლზომიერი გამოყენება, ნარგავების დაზიანება და სხვა);

ზ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის დაზიანება და იერსახის დამახინჯება და სხვა;

თ) უნივერსიტეტის კუთვნილი ან დროებით სარგებლობაში მყოფი მოძრავი ქონების დაზიანება და/ან არამართლზომიერი გამოყენება და სხვა;

ი) ბილწსიტყვაობა, უხამსობა, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა და სხვა;

კ) სტუდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება უნივერსიტეტის სახელის, პრესტიჟის, სიმბოლიკისა და საქმიანი რეპუტაციის მიმართ. უნივერსიტეტის პრესტიჟის და საქმიანი რეპუტაციის შელახვად განიხილება აგრეთვე, ცრუ და გადაუმოწმებელი

ინფორმაციის გავრცელება უნივერსიტეტის საქმიანობის ან უნივერსიტეტში დასაქმებული პირების შესახებ.

ლ) ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება და სხვა (გარდა ექიმის მიერ დანიშნულისა);

მ) ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის გამოყენება, შემოტანა და/ან გავრცელება და სხვა;

ნ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის და სხვა;

ო) სექსუალური შევიწროება, ძალადობა, მუქარა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტ(ებ)ის, აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე წარმომადგენლებისათვის და/ან მოწვეული მესამე პირებისათვის და სხვა;(ცვლილება 27.04.2023)

პ) სიძულვილის ენის გამოყენება, დისკრიმინაცია, ძალადობისკენ მოწოდება და/ან ცილისწამება უნივერსიტეტის სხვა სტუდენტ(ებ)ის, აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის და/ან მოწვეული მესამე პირებისთვის.

ჟ) სხვა სტუდენტის საკუთრების განზრახ ხელყოფა, დაზიანება, განადგურება, საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ამ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით ან მუქარით.

რ) წინასწარი შეთანხმებისა და გაფრთხილების გარეშე, ფარული ვიდეო/ფოტო/აუდიო ჩანაწერის განხორციელება/გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ეს შეთანხმებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

ს) უნივერსიტეტის აკადემიურ/პედაგოგიურ/ადმინისტრაციულ/დამხმარე საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირის ლეგიტიმური მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.(ცვლილება 30.05.2016)

ტ) საუნივერსიტეტო სივრცის, მოძრავი ან უძრავი ქონების არამართლზომიერი და უნებართვო გამოყენება ნებისმიერი მიზნით.(ცვლილება 30.05.2016)

უ) საუნივერსიტეტო ან სტუდენტთა მიერ ორგანიზებული ღონისძიების სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ ორგანიზებისას ამ პროცესის უპასუხისმგებლოდ წარმართვა.(ცვლილება 30.05.2016)

ფ) სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი წესებისა და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევა/უგულვებელყოფა.(ცვლილება 30.05.2016)

მუხლი 7. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესები

7.1 სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) აკადემიური სიყალბე სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა, ან ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალის, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება/გადაწერა, რომელიც არ არის ნებადართული (მათ შორის მობილური ტელეფონი, პლანშეტური კომპიუტერი და/ან ნებისმიერი ელექტრო მოწყობილობა და სხვა);

ბ) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე ან საბაკალავრო/სადისერტაციო/სამაგისტრო თეზისის ყიდვა);

გ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;

დ) კვლევითი სამუშაოების და/ან საუნივერსიტეტო მონაცემების, შედეგებისა და ინფორმაციების გაყალბება;

ე) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა

ვ) გამოცდის მიმდინარეობის დროს ნებისმიერი, მათ შორის ტექნიკური საშუალების გამოყენება გადაწერის მიზნით.

ზ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;

თ) აკადემიური მოსწრების ამაღლების მიზნით საგამოცდო მასალების, რომლებიც კონფიდენციალურია, ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება და ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ შეცვლა ან სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება;

ი) შეფასების მიღების მიზნით ლექტორზე, გამომცდელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე ზეწოლა;

კ) უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტ(ებ)ის გაყალბება;

ლ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით.აგრეთვე სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;

მ) საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება.

მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობისათვის გათვალისწინებული სანქციები:

ა) ზეპირი გაფრთხილება;

ბ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

გ) უნივერსიტეტისათვის სასარგებლო შრომის დაკისრება;

დ) წერილობითი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით;

ე) სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით;

ვ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, გარიცხვა უნივერსიტეტიდან.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა ეთიკის ზოგადი წესების დარღვევისათვის

9.1 ამ კოდექსის 6.1. პუნქტის "ა", ,,ე" და "ი" ქვეპუნქტებში აღნიშნული ქმედებების შემჩნევისას, მათი აღკვეთის მიზნით, უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს უფლება აქვს სტუდენტს მისცეს შენიშვნა და ზეპირი გაფრთხილება, შეადგინოს ოქმი ქმედების შესახებ, განუმარტოს თუ რა ღონისძიებები გატარდება მის მიმართ იგივე ქმედების განმეორებისას.

9.2 იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში დისციპლინურმა კომისიამ შესაძლოა მიიღოს სტუდენტისთვის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილება პირად საქმეში შეტანით. სამჯერ იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში სტუდენტს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

9.3 ამ კოდექსის 6.1 ,,ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის დისციპლინური კომისია იღებს წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას ან სტუდენტს უწყვეტს სტუდენტის სტატუსს;

9.4 6.1 ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტებში აღნიშნული ქმედებების ჩადენისას უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური აღნიშნულის შესახებ ატყობინებს პოლიციას, სტუდენტს აძლევს შენიშვნას და ზეპირ გაფრთხილებას, აგრეთვე ვალდებულია შეადგინოს ოქმი ქმედების შესახებ და სტუდენტს განუმარტოს თუ რა ღონისძიებები გატარდება მის მიმართ იგივე ქმედების განმეორებისას.

იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში სტუდენტი დისციპლინური კომისიისაგან იღებს წერილობით გაფრთხილებას პირად საქმეში შეტანით. სამჯერ იგივე ქმედების ჩადენის შემთხვევაში სტუდენტს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

9.5 ამ კოდექსის 6.1 ,,ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შემთხვევაში უნივერსიტეტის დისციპლინური კომისია განსაზღვრავს და სტუდენტს აკისრებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ან უნივერსიტეტისთვის სასარგებლო შრომას;

9.6 ამ კოდექსის 6.1 ,,ზ“ და ,,თ“_ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას, სტუდენტს უნივერსიტეტის დისციპლინური კომისია აკისრებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ან უნივერსიტეტისათვის სასარგებლო შრომას;

9.7 ამ კოდექსის 6.1. ,,კ“ ქვეპუნქტში მითითებული ქმედების განხორციელებისას, დისციპლინურ კომისიას გამოაქვს სტუდენტის მიმართ ზეპირი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება ან ღებულობს წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილებას.

9.8 ამ კოდექსის 6.1. ლ“-,,ო“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას:

ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აღნიშნულ ფაქტს ატყობინებს პოლიციას;

ბ) უნივერსიტეტის დისციპლინური კომისია სტუდენტს უწყვეტს სტუდენტის სტატუსს.

9.9 ამ კოდექსის 6.1. ,,პ“ და ,,ჟ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას დისციპლინური კომისია იღებს სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, დისციპლინური კომისია იღებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში ატყობინებს პოლიციას;

9.10. ამ კოდექსის 6.1. ,,რ“ და ,,ს“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას დისციპლინური კომისია იღებს სტუდენტისათვის ზეპირი ან წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილებას.(ცვლილება 30.05.2016)

9.10[1] ამ კოდექსის მე-5 მუხლით და 6.1 ,,ტ“-,,ფ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას დისციპლინური კომისია იღებს სტუდენტისათვის წერილობითი გაფრთხილების, სასტიკი საყვედურის ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას. (ცვლილება 30.05.2016)

9.11 სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში ნებიმიერ საფეხურზე სწავლის პერიოდში ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმის დარღვევა სამჯერ, წარმოადგენს სტუდენტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს.(ცვლილება 30.05.2016)

მუხლი 10. პასუხისმგებლობა ეთიკის აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული დარღვევისათვის

ამ კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის დისციპლინური კომისია იღებს ამ კოდექსის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას, რომელსაც აკადემიური შეფასების განსაზღვრისათვის უგზავნის ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს, გარდა იმ გადაცდომებისა, რომელიც გათვალისწინებულია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების წესით სტუდენტებისათვის. ამ წესით დარეგულირებული აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული დარღვევები განიხილება ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების წესი სტუდენტებისათვის“ გათვალისწინებული რეგულაციით.(ცვლილება 27.04.2023)

მუხლი 11. დისციპლინური კომისიის დისკრეციული უფლებამოსილება

სანქციების გამოყენებას ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომების ჩადენისას, დისციპლინური კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს ინდივიდუალურად, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის, შედეგების, პრეცედენტული ხასიათის, გადაცდომის მრავალჯერადი განმეორებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. კომისიას, შესაბამისი გარემოებების არსებობისას, შეუძლია გამოიყენოს ამ კოდექსით განსაზღვრული პასუხისმგებლობებისგან განსხვავებული სხვა, შემამსუბუქებელი სანქცია.

მუხლი 12. დისციპლინური კომისია

12.1 სტუდენტის ქმედების შესაფასებლად და იმის გადასაწყვეტად, თუ რა სანქცია შეიძლება დაეკისროს ეთიკის კოდექსის დამრღვევ სტუდენტს, იქმნება დისციპლინური კომისია;

12.2 დისციპლინური კომისია იქმნება რექტორის ბრძანების საფუძველზე;(ცვლილება 27.04.2023)

12.3 დისციპლინური კომისიის დაკომპლექტება:

12.3.1 დისციპლინურ კომისიაში შედიან: (ცვლილება 27.04.2023)

ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ან უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

ბ) ყველა ფაკულტეტის/სკოლის ხელმძღვანელი;

გ) იურიდიული სამსახურის უფროსი;

დ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

ე) უნივერსიტეტის რექტორის და/ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნან სხვა პირები.

12.3.2 კომისიის სხდომაში (წევრად) მონაწილეობის უფლება არ აქვს იმ პირს, რომელმაც აღძრა საქმე დისციპლინური ღონისძიებების გატარებისათვის;

12.4 ეთიკის კოდექსის დარღვევების განხილვა მიმდინარეობს კომისიის სხდომებზე. სხდომა ლეგიტიმურია, თუკი სხდომას ესწრება წევრების ნახევარზე მეტი მაინც;

12.5 გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით.

12.6 დისციპლინური კომისიას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ან რექტორის მოადგილე, ხოლო მათი არ ყოფნის შემთხვევაში, იურიდიული სამსახურის უფროსი.(ცვლილება 27.04.2023)

12.7 ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების პოლიტიკის დოკუმენტით" გათვალისწინებული ნორმების დარღვევებთან დაკავშირებით საქმისწარმოება წარიმართება და დისციპლინური ზომის გამოყენება ხდება ,,რეაგირების პოლიტიკის დოკუმენტით" განსაზღვრული წესით.(ცვლილება 27.04.2023)

მუხლი 13. დისციპლინური წარმოების განხორციელების წესი

13.1.

ა) ეთიკის ზოგად და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ/პედაგოგიურ/ადმინისატრციულ/დამხმარე საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს, ან პირს, რომელსაც შეუძლია დაამოწმოს ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტი.

ბ) ეთიკის ზოგად და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია ასევე სტუდენტს, რომელმაც უნდა მიმართოს დისციპლინურ კომისიას განცხადებით, რომელშიც აღინიშნება - ვინ დაარღვია ეთიკის კოდექსი, სად და როდის მოხდა დარღვევა, და აღწერილი იქნება ინციდენტი.

13.2. ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს მხოლოდ უნივერსიტეტის დისციპლინური კომისია და აკრძალულია სტუდენტისათვის სხვა პირის/ორგანოს მიერ დისციპლინური სახდელის დადება, გარდა ამ კოდექსით დადგენილი სხვა წესისა;

13.3. დისციპლინური კომისიის სხდომის გამართვის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი, დამსწრეთა ვინაობა, ინფორმაცია კომისიის ლეგიტიმურობის შესახებ, გადადების საფუძველი (ასეთის არსებობის

შემთხვევაში) და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერს სხდომის ყველა დამსწრე წევრი;

13.4. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

ა) უნივერსიტეტისაგან მიიღოს შეტყობინება არგუსისდა/ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი უფლებები;

გ) დისციპლინურ კომისიაზე სტუდენტმა წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტება და მიაწოდოს უნივერსიტეტის დისციპლინურ კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის დისციპლინური კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში. ამასთან, ეს უფლება შესაძლოა დროებით შეეზღუდოს წარმოების პროცესში მიკერძოებისა და ზეგავლენისგან დაცვის მოტივით, თუმცა პროცესის დასრულების შემდგომ წარმოების მასალების გაცნობისა და მიღების შეზღუდვა დაუშვებელია;

ე) სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის დისციპლინური კომისიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

13.5. უნივერსიტეტის დისციპლინური კომისია უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს სტუდენტს საკუთარი მოქმედების ზეპირი ან/და წერილობითი აღწერა და განმარტება;

ბ) იმსჯელოს სტუდენტის დისციპლინური გადაცდომის საკითხზე, მიუხედავად იმისა სტუდენტი ესწრება თუ არა სხდომას, 13.4 ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესის დაცვით;

გ) ამ კოდექსით გათვალისწინებული დარღვევისათვის სტუდენტს შეუფარდოს შესაბამისი პასუხისმგებლობის სახე და ზომა;

დ) დაუმძიმოს პასუხისმგებლობა სტუდენტს, მის მიერ დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ე) სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში დისციპლინურმა კომისიამ შესაძლოა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება ამ სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე. ხოლოს ზედიზედ სამჯერ ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში, უწყვეტს სტუდენტის სტატუსს.

ვ) სტუდენტის მიერ განმეორებით ეთიკის ნორმების დარღვევის საკითხის განხილვისას, მხედველობაში მიიღება მის მიერ სწავლის ნებისმიერ საფეხურზე (ნებისმიერი პროგრამის გავლისას) ჩადენილი გადაცდომა.

13.6 იმ შემთხვევაში, როცა დისციპლინური წარმოების პროცესში მონაწილე რომელიმე მხარე არ საუბრობს წარმოების ენაზე - ქართულად, წარმოების პროცესში, ზეპირი მოსმენის სხდომაზე შესაძლოა მოწვეულ იქნას სპეციალისტი - თარჯიმანი.(ცვლილება 27.04.2023)

მუხლი 14. დისციპლინური სანქციის აღსრულება

14.1. ამ კოდექსის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებას, დისციპლინური კომისია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შუამდგომლობით უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით;

14.2. უნივერსიტეტის რექტორივალდებულია გაატაროს ყველა ღონისძიება, რომელიც დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების აღსრულებისთვისაასავალდებულო;

მუხლი 15. დასკვნითი დებულებანი

15.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე კოდექსში, რომელიც არ უნდა იწვევდეს სტუდენტისთვის მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, ასევე არ უნდა იწვევდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას;(ცვლილება 27.04.2023)

15.2. აკრძალულია სტუდენტს დაედოს დისციპლინური სახდელი იმ ქმედებისათვის, რომელიც არ იწვევდა სტუდენტის პასუხისმგებლობას მისი ჩადენის დროს. აგრეთვე დაუშვებელია კოდექსისთვის უკუქცევითი ძალის მინიჭება, თუ ის ამძიმებს სტუდენტის მდგომარეობას;

15.3. უნივერსიტეტი ვალდებულია ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს თვალსაჩინო ადგილას ან/და განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

15.4. წინამდებარე ეთიკის კოდექსის რომელიმე დებულების (მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის) ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს კოდექსის სხვა მუხლების ბათილობას ან ძალადაკარგულად ცნობას.